საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის თანამედროვე მიდგომების დანერგვა

## 2011 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შედეგები და 2012 წლის სამოქმედო გეგმა

2011

# PIFC-ის მოდელის პრინციპები და 2011 წლის მიღწევები

| PIFC-ის მოდელი | 2010 წლის მდგომარეობა | 2011 წლის მიღწევები |
|---|---|---|
| სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC) სისტემის ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი კანონის არსებობა | საქართველოს კანონი “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”<br>26 მარტი 2010 წელი | არსებულ კანონში ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კანონი “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ”<br>სრულად ჰარმონიზებულია საერთაშორისო სტანდარტებთან - INTOSAI, IIA.<br>9 დეკემბერი 2011 წელი |
| სახელმწიფო სექტორში ფუნქციურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის სუბიექტების ჩამოყალიბება | “შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” კანონი<br>არ არეგულირებდა შიდა აუდიტორთა ფუნქციური დამოუკიდებლობას | “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, შიდა აუდიტის სუბიექტების ფუნქციური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია |
| ფინანსური მართვისა და კონტროლის (FMC) სისტემის დანერგვა | “შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონში მოცემული FMC-ის თავის არასრული და შეუსაბამო ინტერპრეტაცია და განმარტება | ცვლილების თანახმად, საქართველოს კანონში “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” FMC-ის თავი სრულყოფილია და ჰარმონიზებულია საერთაშორისო სტანდარტებთან |
| შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ფუნქციების გამიჯვნა | “შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონი არეგულირებდა ინსპექტირების ფუნქციას და არ იყო გამიჯნული შიდა აუდიტის ფუნქციებისგან | კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სრულყოფილი განსაზღვრება და გაიწერა ფუნქციები, რომელიც არ მოიცავს ინსპექტირებას.<br>განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ინსპექტირების ფუნქცია ამოღებულ იქნა “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ”საქართველოს კანონიდან. |

# PIFC-ის მოდელის პრინციპები და 2011 წლის მიღწევები

| PIFC-ის მოდელი | 2010 წლის მდგომარეობა | 2011 წლის მიღწევები |
|---|---|---|
| ჰარმონიზაციის ცენტრის ჩამოყალიბება | ჩამოყალიბდა შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო | ჩამოყალიბდა შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო და მასთან არსებული სამდივნო, რომელმაც რეალურად დაიწყო ფუნქციონირება |
| საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავება | შემუშავდა მეთოდოლოგიური დოკუმენტები, რომლებიც საჭიროებდნენ სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას | უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დოკუმენტების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან<br>***განახლებულია:***<br>*შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის სტანდარტები.*<br>***დამტკიცებულია:***<br>*რისკის მართვის სახელმძღვანელო* |
| | | |

# PIFC-ის სისტემის სრულყოფის მიზნით 2011 წელს განხორციელებული ქმედებები

დაიხვეწა კანონი “შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”

- ✓მეტი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან
- ✓არსებული სიტუაციის გათვალისწინება

გაუმჯობესდა და დამტკიცდა მეთოდოლოგიური დოკუმენტები

- ✓შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და შიდა აუდიტის სტანდარტები (დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით)
- ✓რისკის მართვის სახელმძღვანელო (დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით)

სრულად ამოქმედდა შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო თანათავმჯდომარეები :

- ✓საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
- ✓საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

# PIFC-ის სისტემის სრულყოფის მიზნით 2011 წელს განხორციელებული ქმედებები

- საფუძველი ჩაეყარა სამომავლო ტრეინინგების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას
  - ✓ ჩატარდა შიდა აუდიტის სუბიექტების საჭიროებათა ანალიზი;
  - ✓ დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ-თან).

- საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა (Benchmarking)
  - ✓ კომუნიკაცია და გამოცდილების გაცვლა ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების ჰარმონიზაციის ცენტრის წარმომადგენლებთან;

# PIFC-ის სისტემის სრულყოფის მიზნით 2011 წელს განხორციელებული ქმედებები

- საფუძველი ჩაეყარა სამომავლო ტრეინინგების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას
  - ✓ ჩატარდა შიდა აუდიტის სუბიექტების საჭიროებათა ანალიზი;
  - ✓ დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ-თან).

- საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა (Benchmarking)
  - ✓ კომუნიკაცია და გამოცდილების გაცვლა ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების ჰარმონიზაციის ცენტრის წარმომადგენლებთან;

# 2012 წლის სამოქმედო გეგმა

- მეთოდოლოგიური დოკუმენტების გაუმჯობესება/დამტკიცება
- ტრეინინგების ორგანიზება
  - ✓ შიდა აუდიტორებისათვის
  - ✓ შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის
  - ✓ თემატური ტრეინინგები
  - ✓ პილოტური აუდიტისათვის მოსამზადებელი ტრეინინგები
- პილოტური აუდიტის განხორციელების ხელშეწყობა
- შიდა აუდიტორთა სასწავლო მივლინებების ორგანიზება